ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსი“-ს ხელმძღანელობით მოამზადა დადგენილების პროექტი - დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

დადგენილების მიღება მიზნად ისახავს იმ გარემოებას, რომ მუნიციპალიტეტში დაბა ჩოხატაურის და კურორტ ბახმაროს ტერიტორია იყოს კეთილმოწყობილი და დასუფთავებული, გათვალისწინებული იყოს დამსვენებელთა თუ საზოგადოებრივი ინტერესები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები იყოს დაცული.

დადგენილების მიღების მიზეზია ის მდგომარეობა, რომ შინაური ცხოველების ყოლის წესები იყოს დადგენილი და შესაბამისად დაცული, ასევე, მწვანე ნარგავები იყოს მოვლილი და შენარჩუნებული.

სწორედ ამ მიზნით შეიმუშავა გამგეობამ დადგენილების პროექტი და მისი მიღებისთანავე შესრულებაზე კონტროლი დაევალება გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კურორტ ბახმარო“-სა და ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს ,,სხივს“.

პროექტის ავტორია გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე. საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი საკითხი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დადგენილება
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“- ს 148-ე მუხლის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესი.

მუხლი 2

დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ,,მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურს“, ა(ა)იპ კომუნალურ სამსახურის ,,სხივს“ და ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს“.

მუხლი 3.

დაევალოს ა(ა)იპ კომუნალურ სამსახურს ,,სხივს“ და ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს“ აწარმოოს საინფორმაციო უზრუნველყოფა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის შესახებ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: თ. უჯმაჯურიძე.

დანართი

დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მუხლი 1. ეს წესი აწესრიგებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დაჭერილი და სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის წესს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი ექვემდებარება დაუყოვნებლივ იზოლაციას.

მუხლი 3. დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაჯარიმდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობით.

მუხლი 4. მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის იზოლაციის შემთხვევაში ხორციელდება მათი ტრანსპორტირება და განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე მოვლა-შენახვით და სათანადო კვების უზრუნველყოფით.

მუხლი 5. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 30 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება პირუტყვის რეალიზება საბაზრო ფასებით.

მუხლი 6. იმ შემთხვევაში, როცა პირუტყვის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა აღემატება დაკისრებული ჯარიმის, სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებს, ზედმეტი თანხა უბრუნდება პირუტყვის მესაკუთრეს.

მუხლი 7. იზოლირებული წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში, მიაკითხოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს ,,სხივს“ (დაბის ტერიტორიაზე) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კურორტ ბახმაროს“ (კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე) და

წარუდგინოს პირუტყვის მესაკუთრეობის დამადასტურებელი ხელწერილი და პირადობის მოწმობის ასლი.

მუხლი 8. მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 9. ჯარიმისა და მომსახურების საფასურის გადამხდელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე.

მუხლი 10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ ადგილას გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯები შეადგენს 5 ლარს.

მუხლი 11. მომსახურების საფასური გაიანგარიშება წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის მიხედვით.

მუხლი 12. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) არ დაუშვას წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის გაშვება პარკში, სკვერში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ასევე არ დატოვოს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი დაბის ან კურორტის ტერიტორიაზე მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე;

ბ) მკაცრად დაიცვას წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესები და არ დაუშვას მათ მიერ საერთო სარგებლობის ადგილების დაბინძურება.

მუხლი 13. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის „მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური“ (დაბის ტერიტორიაზე) და ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“ აწარმოებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენას დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 14. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის „მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური“ და ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“ უფლებამოსილია, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრეს ამ წესით დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე (რომელიც წარმოადგენს პირველ შემთხვევას ან/და არ არის გამოწვეული პირუტყვის მესაკუთრის ბრალეულობით) არ დააკისროს ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი. ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯები.

დასკვნა

,,დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" - დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი ,,დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" - შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

დადგენილების პროექტი ,ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"- ს 148-ე და 209^3 -ე მუხლებათან, რომელთა თანახმადაც ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე და საქმეების განხილვაზე უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის
საკითხებში წამყვანი სპეციალისტი: ნინო ვაჩეიშვილი